# სახალხო გაზეთი

№ 870 პარასკევი, 12 აპრილი 1913 წ. № 870

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვით განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

## დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 14 აპრილს.

**თეკლე პეტრეს ასული** და **არკადი ივანეს-ძე გურჯი** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელ მამისა, მეორის სიმამრისა და დანარჩენთა ბაბუის

### პეტრე ივანეს-ძე ფალიაშვილისა

რომელიც მოხდა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 10 ამ აპრილს. პანაშვიდი იქნება გარდახდილი პარასკევს, 12 აპრილს, სადამოს 7 ს. განსვენებულის სადგომში ყორღანოვის ქუჩა № 6. გამოსვენება ბინიდან შაბათს, 13 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზე სოლოლაკში. 226.

10 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### პეტრე ივანეს ძე ფალიაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართ ქვრივი **მარიამ პავლეს ასული ფალიაშვილისა**, შვილები, **ივანე, ზაქარია, პოლიკარპე, ანტონი, ნიკოლოოზი, ლევანი, ანნა: თეკლე, ნინა** და **იოანნა, რძლები** და **შვილის შვილები**. პანაშვიდი დანიშნულია პარასკევს, 12 აპრილს, სადამოს 7 საათზე. გამოსვენება და დასაფლავება შაბათს, 13 აპრილს, ნაშუდღევის 1 საათზე მიცვალებულის სადგომიდან (ყორღანოვის ქუჩა, № 6), სოლოლაკის ქართველ-კათოლიკეთა სასაფლაოზე. 225

**იოსებ იაკობის ძე, თამარი** და **მირიანი ქაჩხოაშვილები, ბაგრატი, თებრონე, ევგენია** და **კონსტანცია მეფისაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მოულოდნელს გარდაცვალებას ქ. ახალციხეში, 9 აპრილს, პირველის—ძვირფასი მეუღლისა, მეორეებისა და მესამეთა—დაუვიწყარი დედისა და დის

### მარიამ სვიმონის ასულის ქაჩხოაშვილისას.

დაკრძალვა მოხდა 11 აპრილს, წმ. სავარდის სასაფლაოზე. 223

**ქართული თეატრი**

## სადღესასწაულო რეპერტუარი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ორშაბათს, 15 აპრილს,** დამსახურებული მსახიობის კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით

### სამშობლო

ისტ. დრ. 5 მოქმ. და 7 სურ. დ. ერისთავისა. რეჟისორი **ვ. გუნია.**

**ხუთშაბათს, 18 აპრილს, ვასო აბაშიძის** მონაწილეობით

### ლალატი

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა. თარგ. გრ. ყიფშიძისა. რეჟისორი **ვ. გუნია.**

**კვირას, 21 აპრილს, უკანასკნელი წარმოდგენა,** წარმოდგენილი იქნება ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ტრაგიკოსის **სოფოკლეს** ორი ცნობილი ანტიური ტრაგედია ერთ სადამოს

I

### ედიპე მეფე

თარგ. კონ. ანდრონისა.

II

### ანტიგონე

თარგმ. გ. გვაზავასი.

ედიპე მეფე—**ვ. გუნია.** ანტიგონე—**ნ. დავითაშვილი.** ანტიგონეში **მეფე კრეონის** როლს შეასრულებს **ვ. გუნია.**

რეჟისორი **კონ. ანდრონიკაშვილი.** ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობს მსახიობთა ამხანაგობის მთელი დასი.

**ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.** დასაწყისი სადამოს $8^1/_2$ საათზე. 1094

## გაზაფხულის სეზონი

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

ქართ. სახ. წარმოდგენების მმართ. წრის

**აპრილის რეპერტუარი.**

**20 აპრილს**

I) შარჟი **ლალატი**, 2 მოქმ.

II) **დარისპანის გასაჭირი,** სცენა 1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

III) **დივერტიმენტი.**

**24 აპრილს**

მსახიობ **ნ. გვარაძის** მონაწილეობით დრამა ებრაელთა ცხოვრებიდან:

### ებრაელები

4 მოქ. ჩირიკოვისა, თარგ. ვ. გუნიასი.

**28 აპრილს,** 1) **შეშლილები**, 3 ესა 2 მოქ. ტრ. რამიშვილისა. 2) **არივ-დარია**, ვოდ 1 მოქმ ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ „წრის“ ყველა სცენის მოყვარენი ადგილ. ფასი 5—50 კ. **დასაწ. სახ. 8 ს.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა** სანაშეწე **ნ. ჭანკვეტაძე.** „წრის“ ადმინისტ. 1034

## ახალი კლუბი

სამშაბათს, 16 აპრილს 1913 წელს.

გაიმართება **საოჯახო სადამო,** წარმოდგენითურთ, წარმოდგენილი იქნება 3 მოქმედებიანი მხიარული კომედია-ფარსი

### სიმე-სიმამრი

მონაწილეობას მიიღებენ **ტასო აბაშიძე, ა. ქიქოძე, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი და სხვანი.**

ადგილების ფასი ყველასათვის 2 კაპ. 50 კ-მდე, ლოჟები 1 მან. 50 კაპ.

წარმოდგენის შემდეგ **იაფილოტო.** 1092

## „ახალი კლუბის“ მაჟასახლისთა საბჭო

აცნობებს კლუბის წევრთ, მუდმივ მოსიარულეთა, მათ ოჯახობათ და სტუმრებს, რომ

### კლუბი დაკეტილი იქნება

**ვნების კვირის ორ უკანასკნელსა და აღდგომის პირველ დღეს.** 1092

**დღეს, 12 აპრილს, 1913 წ., სადამოს 7 ს., კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში**

### ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

### წლიური კრების გაგრძელება მოხდება.

განსახილველია: 1) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 2) საზოგადოების საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 3) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება. 1128

## სააღდგომო „მოგზაურობა“

დასავლეთ საქართვ ლოში

**„ტფ ქართულ საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდისა“**

(დაარსებული 1910 წ.),

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით და **ძმ. კავსაძეების, თ-დ ლ. ჯანდიერის, ბ. იოს. გოძიაშვილისა** და სხვათა მონაწილეობით. გუნდი შემდგარია 25 კაცისაგან და გამოწყობილი იქნება ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში, რომელიც შეასრულებს ხალხურ სიმღერებს, სოფლის ცხოვრებიდან პატარ პატარა სცენებს.

კონცერტები იქნება: **ჭიათურაში, ქუთაისში, ბათომში, სამტრედიაში** და სხვაგან.

1146 დაწვრილებით პროგრამებსა და აფიშებში. **„გუნდის გამგეობა“.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ასანიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მოსიარულე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

**მანსვეტაშვილი** გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მაღალაშვილი** ს. ზ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მაჭავარიანი** შ. ა. (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი** . გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
**ექ. ქალი ენგ ლ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.

**მარკევიჩი ვ ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.)
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფარბაშოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

**ექიმი-ქალი ვერზილოვა-ფირაღოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**თაკაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ხუდაკოვი ა ა.** (ყოველ დღე) 12—1.

**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს.
**მაჭავარიანი შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**ზედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.
**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.

**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., სააწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ 914 და წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლება სამუდამოთ. ფ. 1035

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

### წამლობა ჭლექისა

იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, ხმდის** პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და სად. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 3 (განოვის ქ. კუთხე).

**ტელეფ. № 7—93.** 97

## ბუფეტი „სატივო“

ყოველ **ჟამს ცოცხალი თევზი.**

**აზიური საჭმელები**

**ახალის სანოვაგისა**

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

**სამტრედიაში**

## ექიმი ე. ქ. აბულაძე

იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606“** და **„914“.** 1118

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№ 8. ტელეფონი № 695**

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. $9^1/_2$ ს 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდ: ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ.ბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ საათ.

**ვოროზიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1053

## საგურთალოზე

**მშვენიერ ადგილას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ღიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული** და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ქუთაისში**

## ექიმი ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო **განყოფი. პირდაპირ.** 102

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

**კანისა** და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. **კვირ.** ავადმყ. არ იღებს. **მოსკოვის ქუჩა,** № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. ზედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სადამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 10. ფ. 1092

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად** ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

**კბილის**

## ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და სადამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 $^1/_2$ ს.

**აბელიძიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე სადამოს 3—4 ს.

**ბოგუსლავსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. სადამ. 4—5 ს.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქხლ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $1^1/_2$—$12^1/_2$.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვეხელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა $1^1/_2$ $2^1/_2$ ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. სად. 4—5 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., სად. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**სადამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

## საკულტურო მუშაობა

შავ-ბნელი რეაქცია, რომელიც საზოგადოებრივ ძალთა თავისუფალ ამოძრავებას შეუძლებელადა ჰხდის, ერის სასიცოცხლო ძალებს შეზღუდულ პირობებში აყენებს. ამიტომ პატარა, მაგრამ თავისთავად სასარგებლო, საკულტურო საქმეების მნიშვნელობა იზრდება და ფრთებშეკვეცილი საზოგადოებრივი აღმაფრენა, განსაკუთრებულის გულის ყურით ეკიდება ასეთს საქმეებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რეაქციის დროს დაიწყო ლაპარაკი კულტურული მუშაობის შესახებ და ფაქტიურადაც სწარმოებს ეს მუშაობა. ეს, რასაკვირველია, არც ფართო იდეალების უარყოფასა ნიშნავს და არც მათ დავიწყებას.

საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა დროებით, ობიექტიური პირობების ზეგავლენით, კალაპოტს იცვლის, მაგრამ კი არა სცილდება ცხოვრების გარდაუვალი კანონების მიერ ნაკარნახევ გზას.

ამიტომ კულტურულ ნიადაგზე მუშაობა სასარგებლოც არის და აუცილებელიც, იმ საზოგადოებრივი ჯგუფისთვის, რომელსაც არ უნდა უსიტყვო მოწმე იყოს ცხოვრებისა. ჩვენ ყოველთვის მოვიწოდებით კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად არა ფართო საზოგადოებას, არამედ თანამოაზრეებს, იდეის მოწინაალმდეგეთაც, რომელთანაც თანხმობითი მუშაობა საკულტურო დაწესებულებებში სასარგებლოდაც მიგვაჩნდა და შესაძლებლადაც.

დღეს დასელებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ საკულტურო მუშაობას და თავიანთ თანამოაზრეთ სამოქმედოდ იწვევენ. „დილის“ მე-31-ე ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ მოსულისა, რომელიც თავის თანამოაზრეთ აძლევს საკულტურო მუშაობის პროგრამას. „სახალხო უნივერსიტეტებში თუ სცენის მოყვარეთა წრეებში,—სწერს ბ-ნი მოსული,—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებებში, თუ პროფ. კავშირებში, სხვა და სხვა წვრილ საკრედიტო ან კოოპერატიულ დაწესებულებებში, ყველგან უნდა იღებდნენ მონაწილეობას ჩვენი თანამოაზრენი“.

ამ რიგად, ბ-ნ მოსულს საჭიროდ მიაჩნია ყველა საკულტურო დაწესებულებაში ჩაებნენ დასელები. ფრიად სიმპატიური სურვილია. ზემოდ ჩამოთვლილ დაწესებულებათათვის ისე საჭიროა დახმარება, სოფლად ისე ცოტა მომუშავეა, რომ ყოველი შემატებული მუშაკი დიდს კულტურულ ღირებულებად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრით ბ-ნი მოსულის მოწოდება ფრიად სიმპატიურია და ძალიანაც სასიამოვნო იქნება, თუ მოწოდებამ ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ჩვენს ყურადღებას იქცევს. ბ-ნ მოსული თავის მოწოდებას წინ უმძღვარებს გრძელ შესავალს, საიდგანაც ვიგებთ, რომ დასელებს საკულტურო მუშაობაში ჩარევა ჰსურთ გახსაკუთრებით ჯგუფობრივი გაძლიერებისთვის. საკულტურო დაწესებულებებს ერთნაირის თვალსაზრისით შეგვიძლიან ვუცქიროთ. ან მათ თავისთავადაც აქვს ღირებულება, ან მხოლოდ იმდენად ვაფასებთ, რამდენადაც მათის შემწეობით შეგვიძლიან ჯგუფობრივი გავლენა შევიტანოთ ხალხში და ამ რიგად ჯგუფობრივი ინტერესებისთვის გამოვიყენოთ ის დაწესებულებანი. ბ-ნი მოსული სწორედ მეორე თვალსაზრისით უცქერის საკულტურო დაწესებულებებს. იგი ამოწმებს რუსეთის მოძრაობის გაძლიერებას და მწუხარებით დაასკვნის, „მუდამ პირველ რიგებში მდგომნი, ეხლა კუდში მოვექეცითო“. ბ-ნი მოსული იგონებს იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივ აზრისა და სახალხო მოძრაობის სათავეში იდგნენ და უნდა, რომ ესეთი მდგომარეობა ისევ დაიჭირონ. სხვათა შორის საკულტურო დაწესებულებანიც ჯგუფობრივი გავლენის გაძლიერების საშუალებად მიაჩნია. ამ რიგად სტიმული საკულტურო დაწესებულებებში ჩარევისა არის, არა თვით დაწესებულებათა ინტერესი, არამედ სურვილი ჯგუფობრივი აზრების პროპაგანდისა და თვით ჯგუფობრივი გავლენის გაძლიერებისა.

ეს კი ისეთი სტიმულია, რომელიც საკულტურო დაწესებულებებს ვერაფერს შეჰმატებს. უნდა გწამდეს კოოპერატიული დაწესებულება, როგორც განსაზღვრული კულტურული ღირებულება და მიდიოდე იქ მხოლოდ იმიტომ, რომ გააძლიერო, განავითარო. მაგრამ თუ კოოპერატიულ ამხანაგობაში მიდიხარ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არსებობს და შეგიძლიან შენი ჯგუფობრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენო, შენი მოქმედება ვერავითარ პრაქტიკულ ნაყოფს ვერ გამოიღებს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაგალითი ისევ თვალწინა გვაქვს. სისტემატიურად სამს წელიწადში ერთხელ ერთი და იგივე სურათი მეორდება. სამი წელიწადი გასაოცარ გულგრილობას იჩენენ საზოგადოების საქმეებისადმი და არჩევნების დროს გაიმართება ხოლმე ორონ-ტრიალი. მაშინ მოუნდებათ ხოლმე თავიანთ დემოკრატიულ დეკლარაციების კითხვა და სხვა. მთელი მოქმედება დასელებისა ნათლად გვიმტკიცებს, რომ ისინი საკულტურო დაწესებულებებს უცქერიან, როგორც თავიანთ ჯგუფობრივი გავლენის გაძლიერების საშუალებას. მხოლოდ

ამისთანა პირობებში შეიძლებოდა ისეთი ფრაზის წამოსროლა, რანაირიც ერთმა დასელმა წამოისროლა. რეაქციამ ბევრი საკულტურო დაწესებულებანი იმსხვერპლა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც რომ მათ გაჰყვეს, არა უშავს რაო.

ასეთს მოქმედებას არა სასურველი ჰანგები შეაქვს საკულტურო დაწესებულებებში და შეუძლებლადა ჰხდის ნორმალურ მუშაობას. საკულტურო დაწესებულებანი ჯგუფობრივი ბრძოლის ასპარეზი არ არის. ამიტომ დემოკრატიული ჯგუფების თანხმობითი მუშაობა შესაძლებელია, თუ დასელები უკიდურესობის გზას არ დაადგნენ და ეს საზოგადოებანი ჯგუფობრივი ქიშპობის მსხვერპლად არ გახადეს.

## ქართული პრესა

გაზეთმა „დილა“-მ სრულიად უნიადაგო საყვედური შემოგვითვალა, ჩვენ კიდეც დავუმტკიცეთ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის და ცდილობს შავი თეთრად მოაჩვენოს მკითხველებს. ჩვენი მიზანი იყო დაგვემტკიცებინა, რომ განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის პირვანდელი ნაწერები არ შეიძლება ჩაითვალოს არც თვით არჩილ ჯორჯაძის მსოფლ-მხედველობის დამახასიათებლად და მით უფრო არც ჯგუფის პროგრამად. ამის გასაბათილებლად „დილა“-ს მოჰყავს ციტატა იმავ მეოთხე ტომიდან—(1901—1902 წ.), მხოლოდ ხაზ-გასმით აღნიშნავს, გამოცემულია 1911 წელსაო. რა უნდა ამით დაამტკიცოს „დილა“-მ? განა 1901—1902 წელიწადს დაწერილი და 1911 წელს გამოცემული ნაწერი შეიცვლებოდა? იგი ისევ 1901—1902 წლების საკუთრებად დარჩება და დამახასიათებელი იქნება იმ დროინდელ აზროვნებისა, რომელიც, ვიმეორებთ, ჯგუფის პროგრამულ აზროვნებად ვერ ჩაითვლება. მაგრამ არსებობს ერთი გარემოება, და „დილა“-ც მას ებღაუჭება. ავტორს ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული, სწერს „დილა“:

„დღესაც ვაღიარებ ქართული ვაჭრობა-მრეწველობის და ბურჟუაზიის ზრდის საჭიროებას ეროვნული ცხოვრების განვითარება-დაცვისათვის. ხოლო რაც შეეხება კლასთა ბრძოლას, ამაში კი გადავაჭარბებო“.

როგორცა ჰხედავთ, თვით არჩილ ჯორჯაძეს უღიარებია, რომ პირვანდელი მისი შეხედულება შემცდარი იყო. მაშ, რაღაა სადავო? რაიცა შეეხება კაპიტალიზმის მნიშვნელობას ეროვნულ განვითარებისთვის, ამას ეხლაც არ უარვყოფთ და, როცა საჭიროდ დავინახავთ, კიდეც გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს. ამის აღიარება არც ბურჟუაზიის გამოქომაგებასა ნიშნავს და მით უფრო არც მფარველობითი სისტემის შემოღებას.

შემდეგ, „დილა“ გვისაყვედურებს, თუ არ ეთანხმებოდით, რატომ ერთხელ მაინც არაფერი სთქვით ამ შეხედულების წინააღმდეგი. ესეც მართალი არ არის. მთელი შემდეგი ხნის მოღვაწეობა არჩილ ჯორჯაძისა ნათლადა მოწმობს, რომ იგი პირვანდელ შეხედულებას არ იზიარებდა. ამასა მოწმობს პროგრამა, რომელსაც უპირველესად ყოვლისა უნდა გაუწიონ ანგარიში, თუ უნდათ პოლემიკაში კეთილსინდისიერება დაიცვან. მაგრამ ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, მაინც შეგვიძლიან მოვიყვანოთ საბუთები, რომ არჩილ ჯორჯაძის ეს შეხედულება შემცდარად იქნა აღიარებული თანამოაზრეთაგანაც, არამც თუ მარტო თვით არჩილ ჯორჯაძის მიერ.

1909 წელს გაზეთ „დროება“-ში ჩვენი თანამშრომელი არ. ჯ—შვილი რომელიც კაპიტალიზმის მნიშვნელობაზე სწერდა, აი რას ამბობს სწორედ იმავ საკითხის თაობაზე, რისგამოც დღეს „დილა“ საყვედურს გვითვლის:

„კაპიტალიზმის შესახებ ბევრსა სწერდა არჩილ ჯორჯაძე. მას კამათი ჰქონდა ამაზე მოწინააღმდეგებთან. მაგრამ ამ კამათშიაც საკითხმა გარკვეული სახე ვერ მიიღო. არჩილ ჯორჯაძე კაუცკის აზრს ემყარებოდა, მოჰყავდა ციტატები მის ნაწერებიდან და ამტკიცებდა, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის განსაზღვრული ინტერესთა ჰარმონია არსებობსო. თუმცა ფაქტიურად ეს მართალია, სხვა და სხვა კლასთა შორის განსაზღვრული ჰარმონია არსებობს, მაგრამ კაუცკი მაინც არ ივიწყებს, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთი მეორის მოწინააღმდეგეა, და ამიტომაც მათი შეთანხმება და საერთო მოქმედება შეუძლებელ საქმედ მიაჩნია.

ამის შემდეგ იმავე არ. ჯ—შვილის წერილში ვკითხულობთ:

„მხოლოდ ამ მოსაზრებით ამბობდა კაუცკი, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის განსაზღვრული ჰარმონია არსებობსო. აქედან ყოვლად შეუძლებელია ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ, როგორიც შემდეგ ბურჟუაზიულმა მწერლებმა გამოიყვანეს, სახელდობრ, შესაძლებელია და სასურველიც ბურჟუაზიისა დ პროლეტარიატის ერთად მოქმედება საერთო მიზნებისთვისაო. ეს შემცდარი აზრია“.

მგონია შეუძლებელია ამაზე მეტი კატეგორიული მტკიცება, მაგრამ „დილა“-ს მაინც ვინ რას შეასმენს? ესეც რომ არ იყოს, მოვიგონებთ ერთს გარემოებას მათი საკუთარი ცხოვრებიდან. ნოე ჟორდანიამ რომ თავისი თხზულებანი ცალკე წიგნად გამოსცა, შენიშვნა გაუკეთა, ჩემი აზრი კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საქართველოში სავსებით არ გამართლდაო. თუ ეს ასე იყო, რატომ ერთხელ მაინც არ აღნიშნეს ეს დასელებმა?

მაგრამ რა მოეთხოვება გაზეთს, რომელსაც სიმართლე ნაკლებად ეინტერესება?

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **წყალთა მეორე ოლქის მერაბად** ა. შარაპოვი აირჩიეს. გუბერნატორმა არჩევნები უკანონოდ სცნო და დაარღვია. ახალი არჩევნები ჩქარა დაინიშნება.

✦ **ა. ვ. კრივოშეინი,** მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტროს მთავარი გამგე, ბათომიდან ტფილისში 13 აპრილს დაბრუნდება.

✦ სახელმწიფო სათათბიროს წევრი **კარლო ჩხეიძე** ტფილისში ჩამოვიდა. აქედან ქუთაისს მიემგზავრება.

✦ **ექსკურსია.** 16 აპრილს, დილით, მეოთხე სავაჟო გიმნაზიის მოსწავლენი დირექტორ ვ. ი. ჩალენკოვისა, სამს მასწავლებლისა და მშრომელთა წრის საბჭოს წევრის ვლ. ბეს. ელიავას ხელმძღვანელობით ბათომის დასათვალიერებლად მიემგზავრებიან. ბათომში ორ დღეს დაჰყოფენ.

✦ **ჭოროხის გაღმა მხრის გამოსაკვლევად** ზოოლოგმა ბ-მა ვრადიიმ საგეოგრაფიო საზოგადოებას ნივთიერი დახმარება სთხოვა. საზოგადოება'მ თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო.

✦ **ჩამოვიდა** ტფილისში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ახალი უფროსი პავლოვსკი, რომელიც ამასთანავე იქნება მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.

✦ **ანჩისხატის ტაძარი** 15 აპრილს თავის დღესასწაულსა უქმობს. ამ დღეს ტაძარში იგალობებს წმ. მარინეს სამრევლო სკოლის მოსწავლეთა გუნდი ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით.

✦ **ფილოქსერა.** რადგანაც კახეთს ძალიან მოედო ფილოქსერა და განსაკუთრებულ ღონის-ძიებათა მიღებაა საჭირო, ამის გამო ამ დღეებში მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტს კრება ექნება. სხვათა შორის, განზრახულია, საფილოქსერო დასები კახეთში მაისის პირველ რიცხვებში გაგზავნოს. ამასთანავე ფილოქსერის მკვლევართა რიცხვი წელს შესამჩნევად იქნება გადიდებული.

— თურქესტანის ოლქშიაც უჩენია თავი ფილოქსერას ისე ძლიერად, რომ ფილოქსერის მკვლევართა საკმარისი რიცხვი ადგილობრივ ვერ უშოვიათ. ამის გამო მევენახეობის და მეღვინეობის თურქესტანის კომიტეტმა ტფილისისას სთხოვა, გაუგზავნოს მცოდნე ინსპექტორები, რომელთაც ჯამაგირად თვეში 200 მან. ექნება თითოს. ამასთანავე თვითეულს 100 მან. მიეცემა გზის ხარჯად.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **საგეოგრაფიო საზოგადოების** გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. ხარჯთ-აღრიცხვაში, რომელიც ნავარაუდევია 4,000 მან. სხვათაშორის, შეტანილია 800 მან. მდინარე არაქსის გამოსაკვლევად გეოლოგიურად და ბოტანიკურად.

✦ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრების გაგრძელება დღეს, 12 აპრილს, საღამოს 7 საათზე მოხდება, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარიათინსკის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღი).

## ქუთაისის ამბები

უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ, გუბერნატორის შუამდგომლობით ნამესტნიკმა განკარგულება გასცა, რომ დეპუტატთა საკრებულოს საქმეთა რევიზიის მოსახდენად შესდგეს კომისია ვიცე—გუბერნატორის თავმჯდომარეობით. უკანასკნელ ხანებამდე ეს ლაპარაკი ლაპარაკადვე რჩებოდა, ვიდრე თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ამ საგნის შესახებ მოწერილობა არ მიიღო, საცა აღნიშნული იყო ის გარემოებაც, რომ დეპუტატთა საკრებულო საქმეთა და ანგარიშთა განხილვას (და არა რევიზიას) ვიცე გუბერნატორის თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია შეუდგებოდა 8 აპრილს.

7 აპრილს თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოწოდებით შესდგა კრება წინამძღოლებისა, დეპუტატებისა და მცოდნე პირთა თანადასწრებით იმის გასარკვევად—აქვს თუ არა უფლება გუბერნატორს დეპუტატთა საკრებულოს საქმეთა და ანგარიშების განსახილველად კომისიის დანიშვნასა და როცა საქმეს გასცნობიან დამსწრენი იმ დასკვნამდი მისულან, რომ ასეთი უფლება გუბერნატორს არა აქვს.

ამის შემდეგ გუბერნატორს თავად-აზნაურთა—წინამძღოლმა აცნობა, რომ კომისიას ვიცე გუბერნატორის თავმჯდომარეობით დეპუტატთა საკრებულოს ანგარიშების და საქმეების განხილვის ნება არ მიეცემა.

8 აპრილისთვის დანიშნული კრება კომისიისა არ შესდგა და არც არავინ იცის რა ბედი ეწევა ამ კომისიას.

* *

კვლავ განახლდა ბუნების მოყვარულთა საზოგადოება. ჩვენი მხრის ბუნება ფლორისა და ფაუნის მხრით ისე ნაკლებადა რის შესწავლილი, რომ ისეთი საზოგადოების განახლებას და მის მოღვაწეობის გაცხოველებას ყველა სიამოვნებით უნდა შეეგებოს. საჭიროა მხოლოდ ჩვენმა ინტელიგენციამ ხელი შეუწყოს ამ საქმეს. სხვათა შორის საზოგადოების გამგეობას შეუდგენია ინსტრუქცია იმ პირთათვის, რომელნიც იტვირთებენ მის მიერ განზრახულ მუზეუმისათვის მასალის მოკრებას. გამგეობას იმედი აქვს, რომ ამ მხრით დიდ დახმარებას გაუწევს საქმეს მოსწავლე ახალგაზდობა, რომელიც ზაფხულში მთელ დასავლეთ საქართველოს მოეფინება.

* *

საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას უკვე დაუსრულებია წარსული საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა. როგორც გადმოგვცეს ბანკის საქმეებს, წინა წლებთან შედარებით, დიდი გაუმჯობესობა და წინ სვლა ეტყობა და სრული იმედია მომავალი წლიდან ბანკი ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და შესძლებს, თანახმათ წოდებისა, თავისი მოგება გაანაწილოს და განსაზღვრული თანხა გადასდოს საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სხვათა შორის გადმოგვცეს, რომ ბანკზე დარჩენილ მამულების რიცხვი დღითი-დღე კლებულობს და არ გაივლის დიდი ხანი და ბანკი გადაურჩება მელნიკოვებისა და ერემეევების მიერ დატოვებულ ჰემკვიდრეობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბანკის მმართველ ორგანოებს გადაუწყვეტიათ ბანკზე დარჩენილ მამულებზე გაწეული, ეგრეთ წოდებული, დასაბრუნებელი ხარჯი ბანკის მოგებითა და სათადარიგო თანხით გააბათილონ, რომ ბალანსი გაიწმინდოს შემოსავლის მხრით საეჭვო თანხიდან.

* *

ქუთაისის ქალაქის გამგეობის ტეხნიკური განყოფილება რომ ვერასგზით ვერ მოეწყო, ყველამ კარგად იცის, მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როცა ავად-მოწყობილ დაწესებულებას არ ეპატივება ზოგი ერთი დანაშაული. ვინც კი ქუთაისში ერთხელ მაინც ყოფილა ის შეამჩნევდა, რომ ქალაქს არა ჩვეულებრივი ვიწრო ქუჩები აქვს; ამ მხრით ქალაქის გამგეობას დიდი დანაშაული მიუძღვის, რომ ახლად გაყვანილი ქუჩებიც კი ვიწროებია, მაგრამ რა სათქმელია, როცა შუაგულ ქალაქში, ბულვარის პირდაპირ, იმ სახლის პატრონმა საცა აზოვ-დონის ბანკი ბინადრობს, აკოფოვის ისედაც ვიწრო შესახვევი უფრო დაავიწროვა ტროტუარის გაფართოვებით და ყოველივე ეს ისე მოხდა დამშლელი არავინ აღმოჩნდა. თუ ქალაქის გამგეობამ ეს ვერ შეამჩნია, ნუ თუ არც ერთ ხმოსანს არ შეუმჩნევია ეს გარემოება?

ს. ჟ. ძ.

## აფორიზმები

### არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდა

(1901—1902 წლ. ტ. IV)

„ეროვნულ პრობლემის გარშემო.“

კლასთა ბრძოლის წაფარება ეროვნულ ცხოვრების ფარგლში გა მეტებული შიშია. ეროვნული მთლ ნობა კლასთა ბრძოლის საჭიროე არ უნდა აქარწყლებდეს, რადგან ბრძოლა წარმატების ერთი ფაქტო თაგანია.

●

დროა რამე პრაქტიკული ღონ ძიება შევიმუშაოთ, რათა გადავ ჩინოთ სიკვდილს სამშობლო ენა ამასთან ერთად მთელი ჩვენი ერ ხული ხასიათი.

●

თუ ჩვენ გვსურს და ძალ-გვ სიცოცხლე, ჩვენ გავამდიდრებთ ქ თულ ცხოვრებას და ლიტერატურ ჩვენ შევქმნით ქართულ საქმეებს თუ სიცოცხლე არა გვსურს, მაშ რასაკვირველია, დღეს-ხვალ გა წნილ გვამად გადავიქცევით ყოველივე რაც შეადგენს ჩვენს ვი ობას, ჩვენს სულს, გაჰქრება და გა ქარვება. მხოლოდ ქართველი ე სიკვდილს არ აპირებს... ქართვე ხალხს პირიქით სიცოცხლის უნა და ძნელობა ეტყობა.

●

საღი ერის ზრდა, იმისი სიმძლა რე ვიწროდ არის დაკავშირებულ იმაზედ, რომ მრავალგვარი მისი მო ხოვნილებანი თვით ერის საშუალ ბითვე იყვნენ დაკმაყოფილებულნ

●

ნაციონალური ცხოვრების გა გრება საჭიროა თვით ეკონომიუ წარმატების განმტკიცებისათვის.

●

ქართულ დემოკრატიულ და ერ ვნულ წარმატებაში „სახალხო მო ვაჭეობას“ უპირველესი ადგილ უნდა ეჭიროს.

●

ეროვნულ პროგრამმის უარყოფ თვით ქართველ ერის არსებობ უარყოფაა.

●

ჩვენი ინტელიგენციის პროგრა იყო, არის და უნდა იყოს ღრმა ეროვნული. ამას მოითხოვდა მოითხოვს თვით ხალხის ეკონო მიური კეთილდღეობაც. დაქვეით ბული ეროვნული ცხოვრება ი ლახავს ხალხის ეკონომიურ ცხო ვრებას, რომ მეორის წარმატე უპირველოდ შეუძლებელია. ჩვ პირობებში ეროვნება ერთად ერ იარაღია ქართველ ხალხის ყოვე მხრივ წარმატებისათვის და აღორ ძინებისათვის. მაშასადამე, ჩვენ წ ეროვნული იდეალები არიან წამო მდგარნი და ჩვენის ინტელიგენცი მოქმედების ნიადაგი ეროვნული ნი დაგი უნდა იყოს.

●

ჩვენ ჩვენი წყლული გვაწუხებ ეს წყლული ჩვენი ეროვნების დაჩა გვრაა. ნუ დავაჩაგვრინებთ ჩვენ

## ერის სული და შემოქმედება

ძვირფასო არჩილ! ამ მკრთალ სიტყვას ვუძღვნი ორ საათს შენთან წიღვერში გატარებულს.

იდუმალს, შავ-ლურჯ, უმთვარო ღამეს ადამიანი უცქერს ცის უსაზღვრო სივრცეს, ვარსკვლავებით გადაჭედილს,—და მის უცნაურ დუმილს თან-აყოლებს ნელი ნაღვლით სავსე ფიქრს, მსოფლიოისას. იდუმალს, შავ-ლურჯ, უმთვარო ღამეს ვარსკვლავი სწყდება ცის სივრცეს, ელვის ხაზს გაჰკრავს ობლად შთენილი და ობლადვე ინთქება ბნელს უფსკრულში. ადამიანი მსოფლიო საიდუმლოებით დაფიქრებული თან-აყოლებს იმა ვარსკვლავს თავის ფიქრს,—და ერთს თვალ-განათებაში წინ უდგება საიდუმლოება საკუთარი სიცოცხლისა: ისიც ობოლი ვარსკვლავია: და არ იცის მან, საიდან მოვიდა, არ იცის მან, საით მიდის: ერთს ისიც ანათებს და შემდგომ ისიც უკუნეთს ერთვის. სად არის ნამდვილი არსი? ჰკითხულობს იგი; მაგრამ დამწუხრებული პასუხს ვერ ჰპოულობს,—და მის თვალ-წინ მსოფლიო იშლება, ვით საშინელი მოჩვენება, ძველ ინდოელთა მაიის საიდუმლო ზეწარში გახვეული...

არის უცნაური ძალა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს მარადობის ჩქეფს ასმევს; იგი ძალა ეროსის მქნეძალაა, სიყვარულის ღმერთის, მსოფლიოს ცხოველ-მყოფელი... ეროსით ფრთაასხმული ეძებს ადამიანი თავის ნამდვილ სახებას, თავის მეორე „მეს“; სიცოცხლის გზა-ჯვარედინს მიყენებული, ნახულობს იგი იმა „მეს“, იმა სახებას, ექსოვება და ესხეულება მას ერთ-არსებად,—და წუთიერ მთვრალი სვამს ნექტარს უკვდავებისას. მან შეიყვარა—და იგრძნო უკვდავება. მაგრამ მხოლოდ „იგრძნო“: სინამდვილეში განცდა უკვდავებისა სხეულს ვერ ისხამს. და ამიერითგან მიეცემის ადამიანი კიდევ უფრო მძაფრ ტანჯვასა: უკვდავების ჩქერით მთვრალი, იგი ახლა კიდევ უფრო ნაღვლობს უკვდავისა და მარადისათვის. სიყვარულმა ვერ შეისხა უკვდავების სხეული,—და ტანჯული ადამიანი ცდილობს მისცეს მას ხელოვნურ საჰვრეტი სახე,—და იქმის მხატვრობა და მუსიკობა.

* *

შეხედეთ მილოსის ვენერას, რომლის ქალური ვნება—ვნება ცივსა და თეთრს მარმარილოშია დატყვევებული; იგრძენით ღმერთ-ქალი აფროდიტა, ზღვის ვნების ქაფისაგან ტყვემქნელად შვებული; მოიგონეთ დანტეს მხიბლავი ბეატრიჩე, სხივმოსილი სახე მარადის ქალწულობისა. შეხედეთ და დააკვირდით: ეს წარმტაცი სახენი ხელოვნურ სინამდვილეში არიან შვებულნი. ყოველდღიურს, რეალურ სინამდვილეში არც ვენერა მოიპოვება, არც აფროდიტა და არცა ბეატრიჩე. თვითეული მათგანი სახე-იდეას წარმოადგენს, რომელსაც მხატვრული ინტუიციით სწვდა ხელოვანი და შემოქმედი ფანტაზით მისცა მას სახესხეული. ჩვენ ვერ ვიკითხავთ, თუ სად არსებობს სამეფო სახე-იდეათა, რადგან თვითონ კითხვა „სად“ საზღვრავს მას, რაც იმ თავითვე უსაზღვროა. სად არსებობს სიმფონია ბეტჰოვენისა? იგი არ მოიძებნება ყოველდღიურ სინამდვილეში: აქ მხოლოდ ხმა და მისი გახმაურების მასალაა. თვითონ ჰანგი კი, სიმფონიის სულმდგმელი, იდუმალ სფეროში მოქცეული. იგი უხილავია და ხელუხლებელი და მხოლოდ მუსიკოსის ბუნებაში მხილდება იგი როგორც სასმენი და გასახმაურებელი. დასწყვიტეთ სიმნი ყოველს ჩანგს, დაამსხვრიეთ ყოველი ჩანგი,—და იგი ჰანგი დაჰკარგავს გახმაურებას. მაგრამ ვინ იტყვის, რომ იგი სრულიად გაჰქრა?! ვერავინ: იგი სუნთქავს იდუმალ სფეროში და უცდის უხილავი და ხელუხლებელი ხილულსა და ხელშეუხებელ ჩანგის გაკოპიტებას, რომ მის სიმთა ჟღერაში მუსიკალურ ტალღებად გაიშალოს. ასეთია ყოველი მხატვრული სახე, მხატვარის ბუნებაში ნაგრძნობი და ხელოვნებით სხეულყოფილი.

და ამ სახით იქმის ხელოვნური სინამდვილე: იგი უფრო მითო-მქნელი სინამდვილეა, ვიდრე ნამდვილი სინამდვილე: იგი ზღაპარია, ლეგენდა, მითი. ხოლო მითო-მქნელი სისინამდვილე იგი არ არის უბრალო ოცნების ნაყოფი: მას საკუთარი გულისხმიერი სინამდვილე აქვს: იგი არყოფილია, მაგრამ საყოფელი; იგი არნამდვილია, მაგრამ შესაძლო; იგი არარსებულია, მაგრამ საარსებო. და ღრმა აზრს აცხადებდა შელლინგი, როცა იგი მითო-მქნელ სინამდვილეს **მეტაფიზიურ მყობადს** უწოდებდა (იხ. მისი „ფილ. მით.“). და ბრძნულად იტყვის ვიაჩ. ივანოვი; როცა იგი მითს „კოსმიურ საიდუმლოს“ უწოდებს („По звѣздамъ“, გვ. 281). მითი არ არის ნამდვილყოფილი, იგი იდუმალ-ყოფილია: თითქო ოდესმე სადღაც ზმანებულ სინამდვილეში კიდეც მომხდარიყოს მითიურ განცდილი და ახლა მხოლოდ ვიგონებდეთ მას განცვიფრებულნი. დიახ, მითი—ეს ის მსოფლიოს წყვდიადით გამოხმაურებული მელოდიაა, რომელსაც ჩვენ პირველად ვისმენთ, მაგრამ გრძნობის უძირო კუნჭულში ვსცნობთ, რომ იგი მელოდია ჩვენ ოდესღაც უკვე მოგვისმენია. და აი, ხელოვნებაში მთელი მსოფლიო უზარ-მაზარ ტყედ იშლება, უღრან-შავ ტყედ მსოფლიო მოგონებისა.

* *

და აქ, ხელოვნების სათავეში, ჩვენ ვხვდებით გულისხმიერ მოვლენას, მოგონებას, ხსოვნას. მართალს იტყოდა პლატონი, რომ ყოველი ღრმა ცოდნა ბოლოს და ბოლოს მოგონებაა უკვე ყოფილისაო (Anamnesis). და შეჰქმნა გენიოსმა ერმა ელლინისამ ფრიად გულისხმიერი ცნება მსოფლიო ხსოვნისა, მნემოსინისა. რა არის იგი? მნემოსინა ორგანიული გრძნობაა, მსოფლიო სხეულის გრძნობა. ბავში მოსწყდა მშობლის სხეულს, გამოეყო და მოშორდა მას, მიეცა ერთგვარ ღამეს მივიწყებისას; მაგრამ უნამდვილეს სიცოცხლის ჟამს იგი თვალს ახელს და გრძნობს თავისსავე არსებაში მშობლისა და მშობლის მშობლის სხეულს, იხსენებს მრავალ საუკუნეს, ბნელ ისტორიად წარსულში დაკარგულს, იგონებს რთულსა და ნაირ-ნაირ ქსოვილს წარსულ განცდათა, იგრძნობს ყოველს ძაფს იმა ქსოვილისას,—და აი აქ, მის სულიერ უნამდვილეს განცდაში, მთელი მსოფლიო ჭეშმარიტად უსაზღვრო მოგონებად იშლება... იგი მკვეთრი—კვეთილი სახეა ინდივიდუალობისა, იგი ცალია და ობოლი; მაგრამ მნემოსინის ცხოველი ძალის ფართო გაშლაში იგი ერთსხეულია მსოფლიო სხეულისა, იგი თანარსია მისი სულისა.

არსად ისე ფართოდ და ღრმად არ იშლება ეს ძალა მნემოსინისა, როგორც ხელოვნურ შემოქმედებაში. ჭეშმარიტად მომგონებელია ნამდვილი ხელოვანი. რამდენად ძლიერია მისი ნიჭი მქნელობისა, იმდენად ფართო და ღრმაა მისი ხსოვნა, მისი მნემოსინა. ხელოვანი სცილდება შემოქმედების ჟამს ემპირიულ-პიროვნულ საზღვრებს და ფანტაზიის (ანუ მნემოსინის) გაშლით ერთვის ნარნარ ძაფთ მსოფლიო ქსოვილისას. იგი იხსენებს „წარსულს“ მთელი მისი განცდით იდუმალ ყოფილისა, იგი იგონებს მის ცდას ამ განცდილის ყოფად-ქცევისა, და ახლა თვითონ ასხამს იმა ყოფილს ხელოვნურ სახეებად... აქ მარხია უშრეტი წყარო შეუცნობელისა, რომელიც თავის-თავად ევლინება თვალახვეულ ხელოვანს მქნელობის აღმტაც ჟამს.

* *

ჰაბა, დააკვირდით შემოქმედებითს პროცესს!! განა, იგი ერთგვარი დენა—სხმა არ არის შეუცნობელის მოგონებისა?! ხელოვანი დემონურადაა ჰკირვეული უსხეულო „იდეით“, იგი შეპყრობილია უფორმო „სახით“. და ტანჯვით-მდენ—შობიერებას განიცდის იგი „იდეა“, იგი „სახე“... ბნელი ღამე და თვალ-ველი, ბუნით მოცული; ფართო ზღვა და სმენათამაში, ქაფით ქაფარეული... წინ—ზღვის ზედაპირი. დიადს ნისლში მწოლარე; უკან—შავი ტყე, საშინელ მოჩვენებად გაშლილი... ისმის ზღვის ქშინვა, ვით ოხვრა უზარ-მაზარი ცხოველის მძიმე ტკივილისა; ხმაურობს ტყის შრიალი, უტყვი, მაგრამ საიდუმლოს მეტყველი... ხელოვანი სთვლემს: იგი თვალ-აზვეულია; „იდეა“ ნელი-ნელ იშლება, ისხმის სხეულად... ხელოვანი სმენად იქცევა: უსმენს მის ჩამოსხმის შხუილს... შორით, ტყის უტეხი ტევრით, მოისმის ნაკადულთა იდუმალი ჩურჩული: ხელოვანს სმენად ესხმის მათი შთამგონებელი მეტყველება... დ იგიც ხელს ანძრევს: უნდა ბნელ გაჰკაფოს... და ჰა, ცოტა ინათლ აიხსნა პირველი თვალი, ალიონ „იდეა“ განაგრძობს სხმულობას; ხე ლოვანი, თვალ-ღია სიზმარში გა ხვეული, უცქერს მის ტანჯვით შო ბიერებას. აი კიდეც, პირველ სხივი, გამპობი და ცხოველმყოფე ლი; ღრუბელი გაიპო და ფერ იცვალა, მას მოსდევს მეორე და მერე მთელი ძნა სხივებისა... ღრუ ბელი აფერადდა... და საშინელი სი სწრაფით ჩამოისხა იგი „იდეა“: იშ სხეულში უხილავი სახე. სმენა-მა თრობელი ჰანგი იხსნა ნაკადულად ფორმა-სილამაზე იშვა მარმარილო ში. სიზმარი გათავდა,—და ხელოვა ნი უცქერს ნეტარებით თავის ქმნი ლებას...

ასეთია საიდუმლოება შემოქმედე ბითი ჟამისა. ამ უცნაურ ჟამს ხელო ვანი სცილდება ფხიზელს ყოველ დღიურობას და შედის ღამის სა ფლობელოში, საცა იგი, თვალღი სიზმარში გახვეული, უფრო ნათლა უმზერს სახეთა წარმოშობას... დია თვალ-ღია სიზმარში! ეს არის სხივ მოსილი აპოლლოს პირ-ბადე, რომ ლის ახსნის წამს მსწრაფლ იბადებ მხატვარის ქმნილება... და აქაც ერ გენიოსი ჰქმნის ხატებას... სხივ-მო სილი აპოლლო მუზათა წინამძღო ლია; მუზანი კი მშვენიერნი ასულ ნი არიან მსოფლიო ხსოვნის, მნემო სინისა... და მართლად უწოდებ ნიცშე აპოლლოს სიზმრის მჰვრე ტელ ღმერთს, და სამართლიანა მოჰყავს მას ჰანს ზაქსის ლექს „სიზმრის მნახველად შობილა მგო სანი; ძილის ჟამს, თვალ-ღია წამ სული მისწვდა ყოველს ჭეშმარიტ და მთელი ხელოვნება წყობილ სი ტყვათა ახსნაა გრძნეულ სიზმართა“

თავს, სხვის მაყურებელნი ნუ შევიქნებით. თუ თვითონ არ უშველეთ ჩვენ თავს, სხვები, თუ მეტსაც არ გვაზიანებენ, არას გვიშველიან.

●

ეროვნება ანუ ნაციონალიზმი, შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან წარმოსდგება ამგვარი კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავმდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა.

●

მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავისი ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე, ერი თვით მცოდნე ხალხია, ეროვნება—შეგნებაა ნათესაობისა და კავშირისა **განსაზღვრულ** ადამიანთა შორის.

●

ყოველ ისტორიულ ხანას თავისი საჭიროება აქვს. ჩვენი დროის საჭიროებაზე თვითონ ჩვენი ცხოვრება გვითითებს. და თუ ამ უმთავრესის საჭიროების დაკმაყოფილებით ბევრი სხვა საჭიროება დაუკმაყოფილებული რჩება, ჩვენ იმით უნდა ვინუგეშებდეთ თავს, რომ ის ვაკეთეთ, რის გაკეთებასაც ჩვენი სინიდისი და შეგნება მოითხოვდა.

●

ჩვენი ეროვნება უნდა იყოს აშენებული უმრავლესობის (მშრომელი ხალხის) კეთილდღეობაზე.

●

ყოველ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შეგნებული ის სულიერი ძალ-ღონე, რომლითაც არის ის მდიდარი, და საზოგადოების სიმდიდრე იმის თვითმოქმედებაშია. საზოგადოების სიმაგრე-სიმტკიცე თვით-მოქმედების აზრის და გრძნობის განმტკიცებაში გამოისახება ხოლმე. ამისთვის საჭიროა ყველა იმ საშუალების თავიდან აცილება, რაც ავნებს და აზიანებს თვით-მოქმედების აზრის გაღონიერებას.

●

ზედაპირულად რომ დააკვირდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ვერ გაიგებთ იმის ნამდვილ მისწრაფებას და სურვილს. ხალხის და საზოგადოების ნამდვილი ზნეობრივი ძალა ხშირად უჩინარია,—უჩინარია, რადგან ხილული მხოლოდ ის არის, რაც უკვე გამორკვეული და დამწიფებულია, ხოლო ის, რაც იბადება, ფესვს იკიდებს და იზრდება, დაფარულია და პირველის შეხედვით გაუგებარი. ხალხის სიცოცხლე ზღვას მიაგავს, როგორც ზღვაში, სადაც მეტი სიღრმეა, მეტი სიწყნარე და სიმშვიდეა, ისე ხალხის უჩინარს, საიდუმლო გულის წიაღში მეტი ძალაა, მეტი ძლიერება.

●

საჭიროა, რომ ქართველმა საზოგადოებამ შეიგნოს, რომ მას აქვს ის სულიერი ძალ-ღონე, რაც ხდის მას ბრძოლაში გამოსადეგ საზოგადოებად. აგრეთვე შეიგნებს რა ამ თავის ძალ-ღონეს, საჭიროა. რომ ის ერიდოს და უფრთხოდეს ყოველ იმ საშუალებას, რის ხმარებითაც მას შეუმცირდება თვით მოქმედების უნარი.

●

როცა კაცი დასუსტდება და დაუძლურდება, ის სხვას შეჰყურებს და სხვის იმედით სულდგმულებს. როდესაც კაცი ცხოვრების მიზანს დაჰკარგავს და რწმენა გაუქარწყლდება, ტრიალებს აღშფოთებული და სხვას უყურებს თვალებში, ეძებს სხვამ მიშველოს რამეო.

ჩვენ, ქართველებს, სწორედ ამ დაუძლურებულ და სასოება-დაკარგულ ადამიანის ელფერი დაგვედო.

●

დროა წელში გავიმართოთ, დროა გავიგოთ, რომ ჩვენი ეკონომიური და ეროვნული ცხოვრების გაღონიერება **ერთად ერთ** ჩვენს ცდაზე, ენერგიაზე, მეცადინეობაზე და მხნეობაზე არის დამყარებული. სხვას ნუ შევყურებთ თვალებში, ნუ მოველოდებით იმას, რის მოლოდინი ბავშვობად ჩამოგვერთმევა, ნუ გავიტეხთ გულს და ნუ ამოვშლით იმის სიღრმიდან სურვილს და ნატვრას უკეთესის მომავლისას!

●

თუ ჩვენ თვითონ არ ვუშველეთ ჩვენ თავს, სხვისი იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან სიცოცხლის უფლება მხოლოდ იმას ენიჭება, ვისაც აქვს ცხოვრებისთვის საჭირო იარაღი—თავის თავის რწმენა და დამოუკიდებელი მოქმედების უნარი.

●

ხალხი თვითონ გაარჩევს, თვითონ გაიგებს, ვინც არის მისი მტერი და ვინც—მოყვარე.

●

ერის ცხოვრებაში, რაც უფრო მეტი დრო გადის, მეტი გამოცდილება, მეტი სიბრძნე და აზრის სიმწიფე ემატება ხალხს. განვლილი ცხოვრება, თავისი შეცდომებით, თავის უკუღმართობით გონების გასავარჯიშებელი, გონების გამოსაფხიზლებელი მასალაა.

●

ჯერ არ დადგა ის დრო, რომ შეგვეძლოს დასახელება და გარკვევა „ახალი“ აზრისა და ახალი „სიტყვისა“, რადგან არც ეს აზრია დამწიფებული, ფრთებშესხმული, არც სიტყვას მიეცა გარეგანი გამომეტყველება. ჩვენ დუღილის ხანაში ვართ და ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა. ეს ჩვენი „დუღილი“ უნდა გვახარებდეს, გვამხნევებდეს, რადგან ყველა ეს სიცოცხლის მომასწავებელია, რადგან სიცოცხლე მოლოდინია და მოლოდინი და რწმენა დიდი ბედნიერებაა.

●

რა არის ჩვენი „მომავალი?“ ამას ჩვენ ერთის კალმის გასმით ვერ ვიტყვით, ვერ გადავწყვეტთ. ამას დიდი მოფიქრება უნდა, წარსულის ცოდნა, წარსულ ცხოვრებასთან თანამედროვე ცხოვრების დაკავშირება. ამ კითხვაზე პასუხის მოცემისთვის ერთად-ერთი უტყუარი გზაა — თვითცნობიერების განმტკიცება, გაღონიერება. თვითცნობიერების გაღვიძება სულიერ წარმატების თავდებია.

## სკუტარის აღება

ტელეგრაფმა მოკლე ცნობა მოიტანა გუშინ: „ცეტინიედან ოფიციალურად იტყობინებიან, ჩერნოგორიის გამარჯვებული ჯარი სკუტარში შევიდაო“. ჩვენს მკითხველს მოეხსენება ის დიპლომატიური მიხლა-მოხლა და აურ-ზაური, რომელიც ამ ქალაქის ბედის გადაწყვეტამ გამოიწვია. ბალკანეთის ომი ისეთ დროსა და ისეთ პირობებში ასტყდა, რომ ევროპის სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი მეომართა ახლობელი მეზობლები, გულგრილ მოწმედ ვერ დარჩებოდნენ, რადგან მეტად მჭიდროდ იყო ერთმანეთში გადახლართული ინტერესები მეომართა და არა მეომართა. ამიტომ შესაძლებელიც იყო და მოსალოდნელიც, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაჩაღებული ცეცხლი ფარგალს გასცდებოდა და მთელს ევროპას მოსდებოდა. თუმცა დიდი იყო სურვილი ომის ნასუფრალით სარგებლობისა, მაგრამ არა ნაკლებ დიდი იყო პასუხისმგებლობის შიშიც. სწორედ ასეთი მდგომარეობის გავლენით ხრიკებში გაწვრთნილმა ევროპის დიპლომატიამ მშვენიერი საძრომი გამონახა მოჯადოებულ რგოლიდან უვნებლად გამოსასვლელად. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის თაოსნობით ლონდონში შეიკრიბა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრება, რომელსაც ერთობითა და თანხმობით უნდა გადაეწყვიტა ბალკანეთის ომისაგან აღძრული საჭირბოროტო საკითხები. თვით მეომრები აშკარა ეჭვიანობით მიეგებნენ ასეთ ღონისძიებას, რადგან გამოცდილებით იცოდნენ, რომ ევროპის კონფერენციები ყოველთვის „არამკითხე“ მზრუნველების როლს თამაშობდნენ ხოლმე ომიანობის დროს. თუმცა ედუარდ გრეიმ საქვეყნოდ განაცხადა, ბალკანეთის მოკავშირეთა შიში უსაფუძვლოა, რადგან კონფერენციის დადგენილებებს სავალდებულო მნიშვნელობა არ ექნება მეომრებისთვისო, მაგრამ მალე გამართლდა მოკავშირეთა ეჭვიც: როდესაც სერბიამ ადრიატიკის ზღვისაკენ გზის გაკაფვა განიზრახა, მას წინ გადაეღობა ავსტრიის სურვილი, რომელიც ლონდონის კონფერენციამ კანონად აქცია და ხელი ააღებინა სერბიას თავისი განზრახვის ასრულებაზე. ასეთივე მოვლენა დაიბადა ალბანეთის საზღვრების გამორკვევის დროსაც. იმავე ავსტრიის დაჟინებით დიპლომატთა ლონდონის კრებულმა დაწვრილებით შეიმუშავა ალბანეთის მომავალ ავტონომიურ სახელმწიფოს ფარგალი და ჩერნოგორია—სერბიის შეერთებულ ჯარს სკუტარის ალყის აყრა მოსთხოვა, რადგან ეს ქალაქი ალბანეთის საკუთრებად იქნა აღიარებული. მეომრებმა ყურიც არ ათხოვეს კონფერენციის დადგენილებას და მხნედ განაგრძობდნენ ციხის იერიშს. დიპლომატიურ მეგობრულ რჩევას კატეგორიული მოთხოვნა მოჰყვა და, როდესაც ამანაც არ გასჭრა, დიდმა სახელმწიფოებმა უკიდურეს ღონისძიებას მიმართეს: შეერთებული საერთაშორისო ფლოტი სადავო ადგილს მიადგა და ალყა შემოარტყა ჩერნოგორია—ალბანეთის სანაპიროებს, რათა მოკავშირეთათვის მოესპოთ საშუალება ბრძოლის განგრძობისა. საქმე ისაა, რომ უგზოობისა გამო მთალყე ჯარი ზღვით ღებულობდა სურსათსა და საბრძოლო მასალას, ახლა კი ეს გზაც ესპობოდა. ამასთანავე სერბიის მთავრობას გადაჰკრით მოსთხოვეს, ხელი აეღო ჩერნოგორიის დახმარებაზე. მუქარამ გასჭრა. სერბიის ჯარის მთავარსარდალმა უკანვე გაიწვია საალყო პოზიციებზე მდგომი დამხმარე ჯარი. დადგა გადამწყვეტი მომენტი. ევროპის დიპლომატია დარწმუნებული იყო, რომ საკუთარი ძალის ამარად მიტოვებული ჯიუტი ჩერნოგორია შეიგნებდა წინააღმდეგობის უსარგებლობას და ქედს მოიხრიდა ევროპის სურვილის წინაშე. მაგრამ ეს მოლოდინიც გაცუდდა—პატარა ჩერნოგორიამ მწვავე სილა გააწნა დიდ ევროპას და უშიშრად განაცხადა: სკუტარი მაინც უნდა ავიღოო. და აი, აასრულა კიდეც დანაპირები. მთელი შვიდი თვე აწყდებოდა ჩერნოგორიის ერთი მუჭა, მაგრამ შეუპოვარი, ჯარი სკუტარის ციხის მიუვალ კედლებს. საშინელმა იერიშებმა მთელი ჯარის თითქმის მეოთხედი ნაწილი იმსხვერპლა, მაგრამ მაინც არ შედრკა მისი რწმენა. რა იყო მიზეზი ასეთი თავგანწირულებისა? რას გამოელის ჩერნოგორია სკუტარის ციხის აღებისაგან? მატერიალური თვალსაზრისით ქ. სკუტარი და მისი მიდამოები დიდს საგანძურს არაფერს წარმოადგენს მაინცა და მაინც. მისი სარგებლობა იმ მსხვერპლის მეათედსაც ვერ აანაზღაურებს, რაც ჩერნოგორელებმა მის აღებას შესწირეს. მეფე ნიკოლოოზსა და მის მამაც ხალხს სულ სხვა გვარი განზრახვა ამოქმედებდა. ჯერ ერთი ისა, რომ ევროპის დიპლომატიამ შავი მთის მეზობლად ახალი სახელმწიფო შეჰქმნა, რომელიც მომავალში უფრო საშიში იქნება ჩერნოგორიის არსებობისათვის, ვიდრე დიდი ოსმალეთი იყო, მით უმეტეს, რომ ავტონომიური ალბანეთი ფაქტიურად ავსტრიის ყურმოჭრილი ყმა და დარაჯი იქნება, რაც საფრთხეში აგდებს ჩერნოგორიის სამხრეთ საზღვრებს. სკუტარის ციხე და მისი მიდამოები, განსაკუთრებით კი სახელგანთქმული ტარაბოშის მთა, საიმედო საფარია ამ მხრით. ამიტომ მიაკლა თავი ჩერნოგორიამ მის კედლებს. გარდა სტრატეგიული მოსაზრებისა, სკუტარის აღებას წმინდა მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა ჩერნოგორელებისთვის — ისტორიულად გულადი, მხნე და დაუმარცხებელი პატარა ერი აგრე ადვილად ვერ შეურიგდებოდა დღევანდელ სირცხვილს, რადგან სწორედ ეს ისტორიული სახელი აძლევს მნიშვნელობას მის დამოუკიდებლად არსებობას. წარსულში ხშირად უნახავს ბალკანეთსა და თვით ევროპასაც ისეთი შავი დღეები, როდესაც სახელმწიფოები თიხის ქურჭელივით იმსხვრეოდნენ, მაგრამ „შავი მთა“ კი ყოველთვის მიუვალი და თავისუფალი რჩებოდა. ესეც ერთგვარი ფაქტორია დამოუკიდებელი არსებობისა. ასე იყო თუ ისე, ჩერნოგორიამ სავსებით მიაღწია მას, რასაც ომის დაწყებიდანვე შეუფერხებლად მიისწრაფოდა. სკუტარის აღებამ სრულიად დაჰშალა ევროპის დიპლომატიის ეშმაკური ქარაგმა. ლონდონის კონფერენციამ ერთხელ კიდევ უნდა გადაათვალიეროს მის მიერ დადგენილი ალბანეთის საზღვრები. თუ ციხის აღებამდე ჩერნოგორიას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა „გაერთიანებული“ ევროპის მუქარა, დღეს მით უმეტეს. სკუტარიდან ძალით მათ გამორეკას ვერავინ ვერ იკისრებს, რადგან, მიუხედავად ევროპის „მწყობრი კონცერტისა“, დიდ სახელმწიფოთა მოწინააღმდეგე ჯგუფებად დარაზმვა სრულიად აქარწყლებს ასეთს შესაძლებლობას. ცხადია, ერთხელ კიდევ წამოჰყოფს თავს ევროპის საერთო კრიზისი, თუ დიპლომატიამ კვლავ არ მონახა საძრომი მოჯადოვებული წრიდან გამოსასვლელად. შესაძლებელია, საერთო ომის ატეხას ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ისევ დათმობა არჩიონ და ჯიუტ ჩერნოგორიასთან მოსარიგებლად ისევ კომპრომისს მიმართონ. ყოველ შემთხვევაში სკუტარის აღება, როგორც ფაქტი, ერთს რასმე აშკარად ჰღაღადებს: პატარა ჩერნოგორიამ ისეთი სირცხვილი აჭამა დიდ ევროპას, რომელსაც ვერავითარი კომპრომისით ვერაოდეს ვერ მოირეცხს იგი.

**კოლხი.**

## ბალკანეთი და ევროპა

**მოკავშირეთა უთანხმოება.**

სოფიიდან იუწყებიან, რომ სერბიის მთავრობა საჩქაროდ აგროვებს ჯარს სადავო ადგილებში; არის აგრეთვე ნიშნები იმისა, რომ სერბიამ და საბერძნეთმა ფარულად დასდევს ხელშეკრულობა ბულგარეთის წინააღმდეგ, რათა დაპყრობილ ადგილების გაყოფის დროს შეთანხმებულად იმოქმედონ.

## დავიწყებული რაჭა

ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილმა რაჭამ ამ საერთო კულტურულ მუშაობის ხანაში მიიქცია ყურადღება ქართველი მკითხველ საზოგადოებისა იმ ეროვნულ დღესასწაულით, რომლადაც რაჭველებმა გადააქციეს მოგზაურობა ჩვენი მხცოვან პოეტის აკაკისა. მაგრამ განვლო დრომ და რაჭის ხსენებაც გაჰქრა ჩვენი გაზეთების ფურცლებიდან. საქართველოს ყველა კუთხეში არის გახურებული მუშაობა სხვა და სხვა ასპარეზზე შეგნებული ნაწილის ჩვენი ერისა. ამ კულტურულ მუშაობას აქვს მიზნად, ეკონომიურად დაქვეითებული სოფელი უმწეო მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

ასეთი დანიშნულება აქვთ სხვა და სხვა კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელთა შემწეობით მშრომელი ხალხი ებრძვის განუსაზღვრელ ექსპლოატაციას და იძენს იარაღს წარმოებისას. ასეთს დაწესებულებას სრულიად მოკლებულია რაჭა. პირველი და უმთავრესი მიზეზი ასეთი დაქვეითებისა მიწის სივიწროვეა. რაჭის მთა-გორაკები თვალწარმტაცნი არიან თავისი სილამაზით და არა მარჩენელნი უზომოდ გამრავლებული ხალხისა. ის თვალმიუწდომელი, დაცემული, მინდვრები, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ქართლი, კახეთი, იმერეთი და საქართველოს სხვა კუთხეები, აქ სანატრელი გამხდარა გლეხისათვის. მიწის საოცარმა სივიწროემ გამოიწვია ის გარემოება, რომ რაჭველის ყანას დაინახავთ გასაკვირველ მიუვალ ადგილებზე. გამოსადეგი ნიადაგის ძებნამ შეიყვანა რაჭველი ღრეში, კლდეში, მეწყერში, ტყეში. თუ მიუმატეთ ამას ის, რომ ნიადაგის დამუშავება ჰხდება იმავე პირობებში, როგორც მთელ წარსულ საუკუნოებში, მაშინ ნათლად წარმოიდგენთ ეხლანდელი რაჭის მეურნეობას: ისევ ის მამა-პაპური სახვნელი, თოხი და ბარი! ყანის პატივება (удобреніе) ხომ იშვიათი მოვლენაა აქ. როგორც მოგეხსენებათ, მიწის სივიწროვეს აუცილებლად მოსდევს საქონლის მინიმუმამდე შემცირება. ერთი უღელი ხარი და მასთან ერთი, სულ ბევრი, ორი-სამი ძროხა შეადგენენ უმეტესი ნაწილი რაჭველი გლეხობის ნორმას. ამ სტრიქონების დამწერს ხშირად უნახავს, მოგზაურობის დროს, რომ თოკ ჩაბმული ძროხა ან ხარი დაჰყავდათ ყანის პირებში საძოვრად.

პრიმიტიული სისტემა მიწის დამუშავებისა არის მიზეზი იმისა, რომ სახნავი მიწა მალე ჰკარგავს ნოყიერებას და 5—10 წლის შემდეგ დათესილის მაგივრად ამოდის უბრალო ბალახი, ან სულ არაფერი. ძალაუნებურად მიწის მუშამ თავი უნდა დაანებოს ძალა-გამოლეულ მიწას. ხვნა-თესვის გარდა რაჭველები მისდევენ მევენახეობას. ამ 10—20 წლის წინათ ღვინის მოსავალი უწევდა მათ შესამჩნევ სამსახურს წლიურ ბიუჯეტის გადიდებაში. ეხლანდელ

---

და ვიაჩ. ივანოვიც: „აპოლლო ძალაა ვიზიონარულ ჭვრეტისა ხსოვნაში“. ხსოვნის ასულნი ცხრა ნაკადულთა ღმერთნი არიან, შთამაგონებელნი მუზანი; მათი დედა-წყარო—მსოფლიო ხსოვნა; და ნელ-ტკბილი ჩურჩულით უყვებიან ნაკადულნი მგოსანს ზღაპარს, მითს, ლეგენდას.

* *

ასეთია შემოქმედების საიდუმლოება. შემოქმედებითს აქტში ხელოვანი სცილდება ემპირიულ საზღვრებს და შთაგონებით ფრთაასხმული თავს გადადის ყოფით ავსილს ქურჭელს ინდივიდუალობისას... მაგრამ ვიკითხოთ: სად გადადის იგი ამ ჟამს? პასუხი ერთია: ერის სულში. ყოველი ხელოვანი ორგანიული ნაწილია ერის სხეულისა, სული მისი ინდივიდუალი სახეა ერის სულისა.. თვითონ ერის სული კი ცოცხალი, მთლიანი არსია, რომელიც მთლიან სიცოცხლედ ფეთქავს ხელოვანის ბუნების შეუცნობელ კუთხეში... აიღეთ რომელიმე მელოდია: იგი შესდგება სხვა და სხვა ტონთა შეერთებისაგან; მიუხედავათ ამისა, მათი უბრალო შედგენილობა მელოდიას ვერ ჰქმნის; მათს შედგენილობის შემდგომ კიდევ რჩება ერთი რამ, რაიც პირველში ჰქმნის მელოდიის მთლიან ერთობას: ეს არის სული მელოდიისა, მრავალ ტონებად გახმაურებული. ესევე ითქმის ერის შესახებაც: ერის სული წინუსწრობს (იდეალურად) ყოველის მისი წევრის ყოფას; იგი ერთია, მაგრამ ამასთანავე მრავალი; იგი მრავალ-ერთობილია, რადგან იგი ერთი მთელია; ❡ ყოველი ცოცხალი მთელი ერთსა და იმავე დროს ერთიცაა და მრავალიც. ავიღოთ ენა. ვინ არის მისი ავტორი? არავინ და ყველა: არავინ მისთვის, რადგან არც ერთს შვილს ერისას ენა საკუთრივ არ შეუქმნია; ყველა მისთვის, რადგან ყველა ურევია მის ნელნელ შექმნაში; ენის ავტორი ერის სულია.. და ხელოვანი შემოქმედებითს აქტში სრულიად ერის სულში გადადის; და ნახულობს იგი აქ იმ უტეხ ტყეს, რომლის შავ-უდრან ტევრთა შორის ამოსჩუხჩუხებს სიცოცხლის მშობი წყაროს თვალი, მუზა ნაკადულებისა. იგი პირველში ენას ხვდება, ამ უშრეტს წყაროს მხატვრულის მქნელობისას; იგი გრძნობს მაშინ ენის უთქმელ ისტორიას, მის ათასნაირ ხვეულებას და მრავალფერ სახოვნებას. შემდეგ ერის ისტორია.—ეს ცხოველი მდინარე ერის სხეულის ნებაყოფისა: ერის ისტორიაში ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა „სოციალურ წარმოდგენად“ (ს. ტრუბეცკოი) იქცევა: და წარმოდგენა იგი შეუცნობელ ცოცხლობს ხელოვანის იდუმალს ბუნებაში,—და შექმნის ჟამს გამოდის იგი შავ-ბნელი მღვიმისაგან და ეფინება ხელოვანის შეცნობილს ველს... ამ ისტორიას ახასიათებს კოლლექტივური ფანტაზია. ეს ფანტაზიაა ჭეშმარიტად ის უცნაური ძალა, რომელიც ფრთამსხმელ მუზად იშლება ხელოვანის სულში... ზღაპარი, მითი, ლეგენდა, რელიგიური სახე,—ყველა ეს კოლლექტივური ფანტაზიის ნაყოფია; ხოლო ნაყოფი იგი ხელოვნებაში დიადს მცენარედ აღმოცენდება, რომელიც გამოსცემს მსოფლიო და ყოვლად კაცობრიულ სახეთა ხატებას. ხელოვანი სწორედ ამ ფანტაზიით სცოცხლობს,—და რამდენად ღრმა და ფართოა მასში იგი ფანტაზია, იმდენად სრულქმნილი გამოდის მის მხატვრული ქმნილება. ამის უტყუარ მაგალითს, სხვათა შორის, იგივე ელლინთა ერის შემოქმედება წარმოადგენს: ყოველს მის ქმნილებაში, ტრაგედიაა იგი თუ პოემა, ლირიკა თუ ქანდაკება, ჩვენ ერის სულსა ვპოულობთ მითისა და ლეგენდის სახით. და მისთვის არის ასე სრულქმნილი, ასე მატყვევებელი იგი შემოქმედება... ასეთია ერის სული, მხატვარის სულში მთლიან არსად ცოცხალი: იგი უშრეტი წყაროა ნამდვილის შემოქმედებისა, იგი ქნე—ძალაა სხვადასხვა ხატებისა...

* *

აქ უნებურად კითხვა იბადება: თუ ერი აღარ არის ჯანმრთელი, თუ მან დაჰკარგა მთლობა? მაშინ, რასაკვირველია, იგი ან სრულიად არ იქნება ცოცხალ არსად ხელოვანის სულში, ან და თუ იქნა, მხოლოდ როგორც ავადმყოფი. ერის სული ამ შემთხვევაში გაზხარული მარმარილოა, და ხელოვანის ნიჭი, იმა სულით აცხოველებული, ჰქმნის მხოლოდ „გაზხარულ მარმარილოს“, ავადმყოფ ქმნილებას...

ავიღოთ რიცხვის პრობლემა და მასში გავხსნათ პრობლემა ერის მთლობისა. ორი ადამიანი ყოველდღიური თვალსაზრისით უთუოდ ჰქმნის საზოგადოებას; ხოლო სოციალოგიურად საზოგადოების შექმნისათვის ეს არ არის საკმაო: საჭიროა ისეთი რიცხვი, რომელიც ჰქმნიდეს პირველში სუბიექტს საზოგადოებისას. და ეს მოხდება მაშინ, როცა საზოგადოება რიცხვმრავალია. რამდენად მრავალია რიცხვით საზოგადოება, იმდენად რთულია მის წევრთა ურთიერთობა; რამდენად ღრმა და ფართოა იგი სირთულე, იმდენად ძალზე დამოკიდებულია თვითეული წევრი იმა ურთიერთობისაგან; თვითონ ურთიერთობა კი ამ დროს, ასე ვსთქვათ, განზე მიდის, გარე, მესამე პირად ხდება, ანუ საზოგადოების სუბიექტად იქცევა. ამ გვარ წრეში იგი საზოგადოება ყოველს მისი წევრის წარმოდგენაში წამოიჭრება როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი არსი. იგი არსია ის უხილავი ძალა, რომელიც კერძო ადამიანს წელში ამაგრებს და მხრებში მართავს. ეს ფრიად ყურად საღები მოვლენა ნათლად იხსნება სხვა რიგის მოვლენაშიაც. ყოველი გახმაურება გამოძახილს იწვევს; და რამდენად უფრო ფართოა საზოგადოება, იმდენად უფრო ძლიერია იგი გამოძახილი; ხოლო გამოძახილი აძლიერებს გახმაურებულ ხმას და მით აორკეცებს მის გამახმაურებელის ძალას... აიყვანეთ შესანიშნავი ორატორი და ჰამოუშვით ცალიერს თეატრში სიტყვის წარმოსათქმელად; დარწმუნებული ვარ, იგი დემოსთენიც რომ იყოს, ვერაფრის გზით ვერ გაშლის მძლავრსა და ლამაზს სიტყვას. ასეთია მთელის იდეის საიდუმლოება.. ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითი. როცა რუსის მგოსანი პუშკინი ჰქმნიდა პოეტურს ქმნილებას, მის შემოქმედს სულში რუსეთი უთუოდ როგორც ცოცხალი მთელი არსი იშლებოდა; და ეს ცოცხალი არსი იყო ის, რომელიც მას საუკუნოებში ნაცდობს სიტყვასა და სიტყვის სახებას შეუმცნობელ სფეროდან უკარნახებდა; და პუშკინიც, ერის სულით ფრთაასხმული, მძლედ და ლაღად ზღვის ზედაპირზე დანავარდობდა. ახლა ავიღოთ ფიქცია-შემთხვევა. წარმოვიდგინოთ, რომ რუსის ერი ათასამდე დავიდა რიცხვით; რას მივიღებთ მაშინ? რასაკვირველია, სულ სხვა სურათს: ათასში ხუთასიც რომ იყოს პუშკინის ნიჭისა ინდივიდუალურად, შემოქმედებაში ვერც ერთი მათგანი ტრედიაკოვსკისაც ვერ გასცილდება. რისთვის? მისთვის, რომ არც ერთს მათგანში არ იქნება გრძნობა ერის ცოცხალი მთლიანობისა, და მასთან ერთად არ იქნება ის შეუმცნობელი სფერო, სად ჩუხჩუხებს წყარო შემოქმედებისა—მნემოსინა, ხსოვნა, და მისი მჩქეფარე ნაკადული-მუზანი; აღარ იქნება მითი, გაჰქრება ზღაპარი, წაიშლება ცხოველი ლეგენდა. დიახ, როცა ხელოვანის სულში აღარ არსებობს სული როგორც ცოცხალი არსი, მაშინ იგი მოწყვეტილია ორგანიულ წიაღს, მაშინ აღარ მოქმედობს მასში კოლლექტივური ფანტაზია, მაშინ დაშრეტილია წყარო შეუმცნობელისა, მაშინ მისი ძალა უნაყოფოა და მოსწრაფებული.

* *

ამის საშინელ მაგალითს საქართველო გვიჩვენებს. საქართველო აღარ არის მთელი, და როგორც ცოცხალი არსი, იგი ქართველში არ არსებობს; სამაგიეროდ დარჩენილიან ნაწილნი და ნაწილნი თვითონვე ცდილობენ მთლობას. საქართველო მე ვარ,—აი ფსიხიური განცდა ქართველისა. ეს საბედისწერო მოვლენა ჰქმნის იმ საშინელს ტრაგიზმს, რომელიც შავი მოჩვენების სახით თანსდევს ყოველს ჩვენს ფეხის გადადგმას: შური, მძულვარება, გაუტანლობა,—და ქუჩის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, გამეფება. დავკარგეთ მთელი ჩვენს არსებაში და მით თავზე ხელი ავიღეთ: და, რასაკვირველია, თავზე ხელაღებულნი, ტყვიით გავგმირავდით იმ ადამიანს, ვინც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს სახე იყო ჩვენი თავისა!?. მაგრამ აქ ვსდუმდეთ, არა გვეთქმისრა. და ისევ შემოქმედებას დავუბრუნდეთ. აქაც თავს იჩენს იგი საბედისწერო მოვლენა.

ავიღოთ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა: ნიკო ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი,—აი მამშვენებელნი ქართულის პოეზიისა. ყოველი მათგანი დიდი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მსოფლიო გენიოსად ვერ იქცა. რისთვის? მისთვის რომ არც ბარათაშვილი, არც ჭავჭავაძე, არც წერეთელი არ გრძნობდა შეუცნობელს სფეროში საქართველოს როგორც ერთს დიადს მთელს; ისინი იტანჯოდენ მისი იდეალური სახისათვის და ხელოვნებით ცდილობდნენ შეექმნათ მისი სასურველი და შესაძლო სახე. ეს „ცდილობა“ გმირობათ ჩაეთვლებათ ჩვენს მგოსანთ—მამულიშვილთ, მაგრამ იგივე „ცდილობა“ ხელს უშლიდა მათი ფანტაზიის თავისუფალს ნავარდსა. ამით იხსნება ის გულისხმიერი მოვლენა, რომ მათს შემოქმედებაში ხანდახან ხორცსხმული სიმბოლოს მაგიერ მხოლოდ უსხეულო ალლეგორია იბადება. და კიდევ სხვა მაგალითი, მხოლოდ სხვა მხრით. ვაჟა-ფშაველა და სანდრო ყაზბეგი შესაძლოა ინდივიდუალურის ნიჭით ვერ სწვდებოდნენ ბარათაშვილს, ჭავჭავაძეს და წერეთელს, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათს ხელოვნებაში ჩვენ მეტს ხალისიანსა და ხორციელს სინამდვილესა ვხედავთ. რისთვის? მისთვის ალბათ, რომ მთაში ჯერ კიდევ არსებობს ფსიხიურად მთიელთა შეცნობაში საქართველო როგორც მთლიანი ინდივიდუალობა,—და მთის შვილნი—ვაჟა და სანდრო, იმ შეცნობით ავსილნი, სტიქიური ამოვარდნით შლიდნენ თავის უხვს ფანტაზიისა.

* *

საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო. და მალე მოვა დრო, როცა ხელოვანი ქართველი შთამგონებელს მუზას იხილავს, უფრო ლაღსა და მატყვევებელს: ტყის ტევრით ღამით გამოდის მომხიბლავი ქალწული, ხელში თამამით ცეცხლის რგოლებს ზღვის მქშინავ მკერდზე ისვრის, იწვის ზღვის გული, იხსნება იგი და შლის ძვირფას თვალ-მარგალიტსა.

**გრიგოლ რობაქიძე.**

რაჭის მევენახეობაზე არც კი ღირს ლაპარაკი. ფილოქსერამ ვენახები აქაც გაანადგურა. სხვაგან, როგორც ვიცით, ფილოქსერამ ყურადღება მიაქცევინა ამერიკულ ნერგს და მის შემწეობით გზა მოუჭრეს მოსალოდნელს ღვინის შიმშილს. რაჭაშიც ისარგებლეს ახალი ნერგით, მაგრამ იმ ზომაზე არა, როგორც სხვაგან. სახნავი მიწის შიმშილმა დაავიწყა რაჭველს ვენახის აუცილებლობა და ფილოქსერიდან გახადგურებული ვენახი საყანო ადგილად გადააქცევინა. უმფრო მწვავედ მოსავლის საკითხი არის დაყენებული მთა რაჭაში. აქ საერთო მიზეზებს ემატება კლიმატიური პირობანი: ცივი ჰავის გამო ერთად ერთი მოსავალი ქერია. ღები, ჭიორა, გლოლა და უწერა თითქმის სულ მთლად ნაყიდი პურით იკვებებიან. მთა-გორაკები, შემოსილნი მშვენიერი ბალახით, თავიდანვე უკარნახებდენ მთიულებს მესაქონლეობას. ეს ასეც არის. მთიული მიდის მეზობელ თერგის და ყუბანის ოლქებში, იძენს საქონელს, როგორც მსხვილფეხს ისე წვრიფეხს, ასუქებს მთელი ზაფხული ზურმუხტოვან კავკასიონის ქედებზე და შემოდგომაზე ისევ ჰყიდის. მთელი წელიწადი საქონლის შენახვა აქ შეუძლებელია. ენკენისთვიდან დაწყებული თითქმის ცხრა თვის განმავლობაში აქ ზამთარი გრძელდება. მთა რაჭას არ მოსდევს, არც ახლოს არც დაშორებით, ისეთი ადგილები, როგორც სხვა ჩვენს მთიულებს, რომ შესაძლებელი იყოს ზამთრობით მთელი საქონლით იქ გადასვლა; სათიბები კი იმდენი არ აქვთ, რომ ათასობით თხა-ცხვარი და ხარი თივით გამოჰკვებონ.

მატერიალურ სისუსტეს, როგორც მოგეხსენებათ, მოსდევს კულტურული ჩამორჩენაც. თუმცა, ამ ბოლო დროს მაინც, შევიგნეთ სწავლა-განათლების აუცილებლობა და დიდი სარგებლობა, მაგრამ ჩვენ არ შეგვწევს საკუთარი ძალ-ღონე დავაკმაყოფილოთ ყველა მოთხოვნილებანი. იმ დროს, როდესაც მთელი ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვა შეუდგა ინტენსიურ კულტურულ მუშაობას: ჰარსებენ პირველ-დაწყებით სასწავლებლებს, კოოპერატიულ დაწესებულებებს, საკრედიტო ამხანაგობებს, სამკითხველოებს, სამეურნეო და საექიმო პუნქტებს და სხვა ბევრს, რაჭა კვლავინდებურად მაგარ ძილშია და სულ არ სჩანს ჯერ გაღვიძების მოახლოვება. ჩემის ცნობით ბიბლიოთეკა-სამკითხველო არსებობს მხოლოდ დაბა ონში და, მგონია, ისიც სულსა ღაფავს. მთელ მაზრაში გახსნილია მხოლოდ ორი საავადმყოფო—ერთი ამბროლაურის საბოქაულოში, მეორე ონისა. ამის გამო უმეტესი ნაწილი რაჭისა მიტოვებულია ღვთისა და სოფლელი ექიმბაშების ამარად. მხოლოდ უკიდურესი გაჭირვება აიძულებს, მაგალითად, ღებელს 30 ვერსის მანძილზე მიმართოს ექიმს და შესძლოს მისცეს მოსვლისთვის ექიმს 20—25 მანეთი, ფელდშერს—10—15 მანეთი. შედეგი ყველა ამისა ის გახლავთ, რომ რაჭის ზოგიერთს სოფლებში გამძვინვარდა ბევრი იმისთანა სენი, რომლის სახელიც კი უწინ არ გაუგონიათ; მაგალითად, ჭლექი, სნება (ტიფი), სიფილისი და სხვა, ჯერ დაუმარცხებელი მტერნი კაცობრიობისა. სხვა და სხვა საბავშვო ავადმყოფობანი ხომ მუსრს ავლებს ბავშვებს, როცა კი გაჩნდებიან. დანარჩენ კულტურულ დაწესებულებებზე არც კი ღირს ლაპარაკი. რა აქვთ? სოფლის სკოლები, ორგანსამგან წვრილი კრედიტის ამხანაგობანი—სხვა არაფერი. გზა, ეს უმთავრესი ძარღვი ეკონომიური განვითარებისა, ისიც არა აქვთ რაჭველებს.

ეკონომიურმა უმწეობამ აიძულა რაჭველები გარედ გასულიყონ სამუშაოდ, რომ როგორმე დაეცვათ ოჯახი სრული გალატაკებისა და განადგურებისაგან. სად გინდათ, რომ არ ნახოთ რაჭველი, რომელიც სხვა და სხვა გვარი მუშაობით აგროვებს ორ გროშს ოჯახის ხელის გასამართავად. მიწის სივიწროვეს ყოველთვის მოსდევს ოჯახში ზედ-მეტი მშრომელის გარედ გასვლა. ზოგმა იპოვა, რასაც ეძებდა, ზოგი განაგრძნობს და აი ულმობელმა ცხოვრებამ ამერიკის კარებსაც მიაკაკუნებინა. ეხლა რაჭაში ამერიკა დიდსა და პატარას პირზე აკერია...

**მიხეილ ამირანიშვილი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

10 აპრილი.

## საზღვარ-გარედ

**ბელგრადი.** სკუტარის დამხობამ აუწერელი აღფრთოვანება გამოიწვია.

**ბელგრადი.** ქალაქში გამოუთქმელი სიხარული და აღტაცება ჰსუფევს სკუტარის დამხობის გამო. ქუჩებში ბრბო მანიფესტაციებს ახდენს. სკუპშჩინას პაშიჩმა სკუტარის დამხობა აცნობა. სკუპშჩინის წევრებმა დიდის აღტაცებით მიიღეს ცნობა. გამარჯვების დღესასწაულის ნიშნად სხდომა შესწყდა.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან: პრინც საბაჰ-ედინის დაპატიმრების ცნობა სიმართლეს მოკლებულიაო. „ტანინში“ ეს ცნობა იმიტომაა მოყვანილი, რომ აეძულებინათ პრინცი საზღვარ-გარედ წასულიყო. პრინცი მაინც სტამბოლში დარჩა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: პოლიტიკოსთა წრენი ბულგარეთ-სერბიის ხელშეკრულების მცდარი განმარტების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიანო. უთანხმოების ალმოსაფხვრელად უმჯობესი იქნება გამოქვეყნდეს თვით ხელშეკრულება თვისი დამატებებით. ეს საბუთი დაგვანახვებს, რომ სერბიას, იმაზე მეტი რის მოვალეც იყო, არ გაუკეთებიაო.

**ბუქარესტი.** ჩათალჯის ჯარის დივიზიის უფროსი ახმედ-აბუბ-ფაშა იმუქრება: სტამბოლში შევალ, თუ მინისტრთა კაბინეთი არ გადადგაო.

## ომი და სახელმწიფონი

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ ალბანეთის ჩრდილოსაზღვრების შესახებ სწერს და დასძენს: ტარაბოში რომ ალბანეთს შეუერთდესო, ჩერნოგორია სრულიად დაუფარავი დარჩება ამ მხრივო. კასტრატისა და კლიმენტის ტომები სერბიელთა მოდგმისანი არიანო; მათ კათოლიკობა გარემოებათა ზეგავლენით მიიღესო. მათშორის ბევრი მართმადიდებელია. ისინი ალბანეთის საზღვრებში ჩარიცხეს მიუხედავად კონფერენციაში შეტანილი პროტესტისა. კრასნიჩების ტომი, ალბანეთს რომ მივაკუთნოთ, მოსწყდება თავის ცენტრს, ლოკოვიციოს და ეკონომიურიდ დაღუპვის გზაზე დადგებაო. შავი დრისნის ნაწილის მიკუთვნება ალბანეთისთვის ხელს შეუშლის სერბიის საეკონომიო მიზნის მიღწევას—დუნაი-ადრიატის გზის გაყვანას. ყოველი ნაკლი უნდა შესწორდეს, რადგანაც ამით შეიქნება მუდმივ შურისა და შფოთის არასასურველი წყარო.

**ლონდონი.** ელჩთა თათბირი იხილავს მოკავშირეთა საპასუხო ნოტას. პეტერბურგის სააგენტოს კერძოთ შეუტყვია, რომ მოკავშირეთა პასუხს დიდ სახელმწიფოთა წინადადების შეწყნარებად სთვლიან. მოელიან მაისში სამშვიდობო კონფერენციის შეკრებას.

## მსოფლიო მშვიდობიანობა.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო მდივნის ბრაიანის მიერ შემუშავებული წინასწარი პროექტი მსოფლიო მშვიდობიანობის იდეის საქადაგებლად გადაეცემა სენატის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიას. ბრაიანი რამდენიმე ხნის განმავლობაში ჰმუშაობდა ამ პროექტის შესამუშავებლად. ეხლა იგი წინადადებას იძლევა შეკრას სახელმწიფოთა შორის რამდენიმე ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სამედიატორო სამართლის კომპეტენციის შეადგენს სხვა და სხვა უთანხმოების გადაწყვეტა და სახელმწიფოთა შეიარაღების შეზღუდვა.

## კალიფორნიის კანონ-პროექტი.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა კალიფორნიის მთავრობას დეპეშით აცნობა: თუ უცხოელებს აეკრძალებათ კალიფორნიაში მიწის შეძენა, ეს აკრძალვა ყველა უცხოელზე უნდა გავრცელდეს გამოუკლებლადაო.

## საჯოგველთაო გაფიცვა.

**ბელგენი.** გაფიცულთა რიცხვი 40.000-დის ადის.

**ჰააგა.** პალატაში დაიწყო კამათი სანაპიროების გასაძლიერებლად 11 მილიონი გულდენის გაღების კანონ-პროექტზე.

## რუსეთი.

**ვარშავა.** ტერეზინის მამულში ვარშავის მახლობლად, საიდუმლო მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს მამულის პატრონი თავ. ვლადისლავ დრუცკი-ლიუბეცკი.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ტრუდოვოი გოლოსის“ მერვე ნომერი.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრი პეტერბურგიდან კავკასიის სამინერალო წყაროების და ბაქოს ნავთის სამრეწველოების დასათვალიერებლად გაემგზავრა.

**პეტერბურგი.** პრიამურის გენერალ-გუბერნატორის თავმჯდომარეობით საუწყებათაშორისო კრება მოხდა აღმოსავლეთის საკითხის თაობაზე. სასურველად იყო ცნობილი გონდატის პროექტი ამურის, პრიამურის და სახალინის საადმინისტრაციო რეორგანიზაციის თაობაზე სასურველად სცნეს აგრეთვე შორ. აღმოსავლეთის ოლქებისათვის მუშავდეს საერთო საემიგრა კანონ-პროექტი.

**პეტერბურგი.** სრულიად რუს. სალიტერატურო საზოგადოე მოეწყო სინიდისის სასამართლო ჭდვითი სიტყვის ორგანოთა და ტერატორთა შორის უთანხმო გადასაწყვეტად.

# არჩილ ჯორჯაძ ძეგლისთვის

დღემდის არჩილ ჯორჯაძის გლისთვის შემოვიდა—102 მ 3 ბაგრატ ბეთანელის მიერ შეკრ. ანნა სებტ. მიერ არსონკაში შ 10 მ. 90 კ., თელავში შეგროვ ბ-ნ პაატაშევის მიერ—20 მ., ახმ ში ქ-ნ ბერეჟიანის მიერ შეკრ.- მ., სიღნაღის ქართველ ქალთ 22 მ. 50 კ. სულ დღემდის 194 70 კ.

# წერილ. რედ. მიმარ

ბ-ნო რედაქტორო

ქართულ კულტურის მოყვარუ თა საზოგადოების უკანასკნელ ჯარო კრებაზე თავმჯდომარეს გა ცხადებია, რომ შემდეგს საზოგა ების საჯარო კრებაზე გარჩე იქნება წმ. ნინოს განმანათლებე მოღვაწეობა, კრებას ბ-ნი კაკაბაძ დაესწრება და მსჯელობაში მონა ლეობას მიიღებსო. ამით ვიცხად რომ ამის შესახებ თანხმობა მე ა ვისთვის მიმიცია, და არც ვაპირ მიცემას. ამასთანავე უმორჩილე ვთხოვ ქართულ კულტ. მოყვ საზოგად. საბჭოს, მომავალში წინ წარ ჩემდა დაუკითხავად ნუ ინებ ჩემი სახელის გამოცხადებას.

**სარგის კაკაბაძე**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე**


# სილამაზის უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711

ვარდის ფერი ბროლის

= საპონი =

კანსა და პირი-სახეს ისეთ სინაზეს, ...



ფერდ. მიულჰენსი.

პარფიუმერია № 4711.

დაარსებულია 1792 წ.

1019

ფოტოგრაფიულ აპარატებისა და სხვა საჭიროებთ ნივთების საწყობი

# თ. მ. სოტირიადისა.

ტფილისი, კირილეს ქ. № 10.



გლანკებისა.

1139

სამუსიკო და ნოტების საწყობი

# კარლ შუმანისა

ტფილისში, გოლოვინის პროსპ., № 10. ტელ. № 939.

მოიჯარადრე კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებისა.

## მიღებულია დიდი არჩევანით:

**პატეფონები** ... ფასი 1 მან. 30 კ., 1 მ. 75 კ. და 2 მან. 50 კაპ.

**ორკესტრიონი** ... ფასი 350 მანეთიდან.

**პიანინო** ... ფასი 450 მანეთიდან 1800 მანეთამდე.

## ფულის შეღავათიანი გადახდით.

222.

**ექიმი** ზ. ა. მიძელაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

# ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მექანიკური ნაწარმოები.



170.

ვაგზლის

# სამშობიარო თავშესაფარი

ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატისოვისა

ფეხმძიმეთა და მშობიარეთა იღებს სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესს ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.

თავშესაფ. გამგე ექიმი ა. გ. ჭყონიას ძე.

ვაგზლის ქუჩა № 2, ტელეფ. № 3—22

1018.

# ექიმ ნაკაშიძის პირველი კერძო საავადმყოფო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

## დილით:

## „606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაკაშიძე: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ზ. გ. ბაბაშიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიჯოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მუღდაძე: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეჟიტაშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი თ. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

## საღამოთი:

მ. გ. ბეჟიტაშვილი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ზ. ა. ნაკაშიძე.

1004

მიწის დასამუშავებელი მანქანებისა და იარაღის საწყობი

# ა. უტკი და შვილი



1150

ხელის მაშინების ... თ. ზოლან ...

1107

მოსკოვის საკალბასო და საგასტრონომო მაღაზია

# „დ ა ვ ი დ ი ო“

მიხეილის პროსპ. სახ. № 34.

ვაცნობებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მომავალ დღესასწაულებისთვის ადგილობრივ და რუსული ვიჩინის დიდი არჩევანი გვაქვს; რეგვე მოიპოვება ნაირ-ნაირი კალბასები, სულ მთლად ახალი, თევზეულობა და სხვა სანოვაგე: მოხრაკული და მოხარშული გოჭები, თუშური ბატკნები, ინდოურები და ქათმები, ხბოს ხორცი და ჩიტის სანოვაგე, საკუთრებით მაღალ ხარისხისა. მხოლოდ საუკეთესო ფირმების კახური ღვინო. ფასი ზომიერი და კეთილსინიდისიერია, რაშიაც ვთხოვთ პირადად დარწმუნდნენ.

პატივისცემით „დავიდიო“. 214

ფეხსაცმელების დეპო

# ს. პაპიკიანცის და კომ.

1. მთავარი: გოლოვინის პროსპ. № 38. 2. განყოფილება: მუხრანის ქუჩა № ...

## შემთხვევით ისარგებლეთ!

ამით ვაცხადებთ პატივცემულ საზოგადოების საყოველთაო საყურადღებოდ, რომ მომავალ დღესასწაულებისთვის ჩვენ მიერ მიღებულია კაცებისა, ქალების და ბავშვთა უკანასკნელ და ახალ ფასონის აუარებელი ფეხსაცმელები, როგორც საზღვარ-გარეთისა, ისევე ს.-პეტერბურგის ფეხსაცმელთა სამექანიკო ნაწარმოებისა და რუსეთის სხვა და სხვა ფირმებისა.

ფასები კონკურენციის გარეშეა, რაშიაც ვთხოვთ პირადად დარწმუნდნენ.

1149 სრულის პატივისცემით მ. ო. პაპიკიანცი და კომპ.

# თევზეულობის მაღაზია ს. ლ. ხუროშვილისა

პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.

## ვყიდით:

საუკეთესო მარცვლიან ხიზილალას, ცოცხალ თევზს „ქიტკა“-ს ორაგულს, თართს, ტარაღანას, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს და სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.

ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში. 1127.

ერთად-ერთი

# ამერიკულ ვაზის სანერგე

## „კლო-ჟღურული ქუთაისში“

ურჩევს და ჰყიდის საუკეთესო ყოველნაირ საძირე ამერიკულებზე დამყნილ ვაზებს, ...

1108

მიიღეთ საუკეთესო ...

ქვირითის (ქართ.) ...

თევზის მრეწველნი

სელიოტკები და კონსერვები.

1131